

საქართველო

სურათებიანი ლამაზება

ბაზეთის № 218

ლამაზების № 39

შაბათი, 1 ოქტომბერი, 1916 წ.



ქართული გლახი. ნახტი — ალ. ციმაკურიძისა

მითხარ...

რატომ პირდაპირ ვეღარ მიყურებ?
რად დაჰხრი ხოლმე მორცხვად შავს თვალებს?
მითხარ, თუ რამეს მცაყვედურებ!
მითხარ, რა გტანჯავს, რა გავალალებს?
რად დაუკარგავს შენს სახეს სხივი?
სულს სევდა რისთვის შეარგებინე?
მითხარ, ერთგულო, თუ რას მიჩივი?...
მითხარ!.. ნუ სტირი! გამაგებინე!

იქნებ ვე ცრემლი ძვირს მომისწავებს,
ჩემთვის ატარებ მოთალხო შავებს?
ნუ თუ განსჭვრიტე საბედისწერო?
სამხიარულო ვეღარ გიმღერო?
მაშ სხვა რა გტანჯავს, არ გსურს მაუწყო,
რომ სანუგეშოდ ჩემს ჩანგს ავუწყო?
მითხარ, რა სევდა დაჰკრთის შენს ლალებს?
ახ, ნორჩო, მითხარ, რა გავალალებს?

ვერ მიგიყურო მაშ მწუხარება?
მაშ მწარე ცრემლი ვერ შეგიმშრალო?
მითხარ და იქნებ სხვა ნეტარება
და სხვა სამოთხე გადავიშალო!
ისევ პირდაპირ, ტურფავ, მიყურე!
ძირს ნუღარ დაჰხრი მორცხვად შავს თვალებს!
სთქვი ერთხელ.—მორჩი!—მისაყვედურე.—
მე სულ სხვა საქმეს აღთქმა მავალალებს!

სანდრო შანშიაშვილი.

არაფერი უფილა

სატრფოს ყვილა ჰკლავს,
მხოლოდ ჯალათი ყველას
არ უზღავს სამაგიეროს.

ო. უაღდი.

მეც ვცხოვრობ!
დღეს ქრისტეს შობაა—ჩემს გულში
კი კვდება და ობდება ყოველი წმინ-
და გრძნობა. ყველა იცინის, ყველა
მხიარულებს, მე კი დაცინვით გად-
მომყურებს ამ დაწყვეტილი ოთახის
დაბალი კედლები, მთელს ცხოვრება-
ში ვერ დაგიმსახურებია ვერც ერთის
გულის ძგერა, ვერც ერთის კალმის
მოსმა, ვერც ერთის ტუჩის თანა-
გრძნობის სიტყვაო. მზის სხივი თარე-
შობს ეზოში; ფინიას საშობაო ნაზუ-
ქი უშოვნია და ღრუტუნით შეექცევა;
პატარა ბავშვს, თეთრს ტანისამოსში
გამოწყობილს, ორიოდ კონფეტი
რგებია და ახლა ათამაშებს, ითვლის,
აწყობს... ეგერ კიბეზე, ფანჯარის წინ,
შეჩერებულა აყლაყუდა სერთუკოსანი
და მხიარულათ კითხულობს ღია წე-
რილს. ვიცი, ვიცი რაც სწერია შიგ:
„გილოცავ და გკოცნი...“ შენი...“
ასე სწერია უსათუოდ, მაგრამ ვინ
აწერს ხელს? ამალია, კეტი, ელენე...
ა! ვინც უნდა იყოს... მისთვის ხომ
თამარია, ჯიოკონდაა, საკუნტალაა!
მეორე ოთახიდან მოისმის მოხუცი
ღიასახლისის ხმა: იგი მხიარულათ,
აღტაცებით, უხსნის თავის დისწულს,
თუ ვინ იყო ქრისტე.

მე ვარ მხოლოდ აქ მიტოვებული...
ერთი წერილი მაინც...
რა ავიჩვილე გული!
ფუ!
ახალგაზდა სტუდენტი კარში გა-
მოვიდა.

2.

„არის ქვეყანა მის“ სიმყრალეს „ვერ
ასწერს ხელი, ვით ჯოჯობითი მისი
არე ისეა ბნელი“. ცას, ნისლით მო-
ცულს, დაუხურავს ნაცრისფერი ქა-
ლაქი. ერთი სახლი რაა, ვერ შეაჩე-
რებს თქვენს თვალს. გაივლის ვინმე
ქუჩაზე, თუ მოგაგონდება ვინმე აქ
მცხოვრები—იფიქრებ არა იმაზე, თუ
რომელ ქვეყანას გაუზღია ასეთი ქმნი-
ლება დასამშვენებლად, არამედ სა-
ლორეში თუ სატუსალოში დაიბადა
ასე უაზრო და ულაზათო ცხოველიო.
ჩაფიქრებული სტუდენტი წყნარა
მიდიოდა. თუმცა ზიზლით იგონებდა
ნაცნობთა და უცნობთა, რომელნიც
ირგვლივ მდგომ სახლებში, ელექტრო-
ნით განათებულ ოთახებში უნდა
მჯდარიყვნენ, მაგრამ მაინც შურდა
მათი მდგომარეობა—ერთად იყვნენ,
ხალხი იყვნენ.
აქ ვიქილი სდგას—გაიფიქრა ყმა-
წვილმა — ზიფთხიანი ქალიშვილი
ჰყავს! ვიცნობდე მაინც!—შევიდოდი.
სტუდენტი, მწარე ფიქრებიდან
დამთვრალი, ზოგჯერ ძლიერათ ჯოხს
დაარტყამდა ქვაფენილს, წინწკლებს
გამოაყრევინებდა, მათრახ ნარტყამ
ჯაგლაგვივით ერთს ჩქარა გაივლიდა,

რომ მერმე ისევ წყნარა გაეგრძელე-
ბინა გზა.

„გზაზე არ სჩანდა ცხოველი, თით-
ქოს საუკუნოთა ისვენებდა ყოველი“.
მხოლოდ სახლებიდან მოისმოდა
სხვა და სხვა სიმღერის, მუსიკის ხმა
და ეს არევა-დარევა ხმების, კილოფ-
ების მთლად კანში შეუღებოდა მიმა-
ვალს.

მოსახვევში შეცრათ ვილაცა დაეწია
და მას უნებურად მხარი გაჰკრა:

— უკაცრავათ!—წაიბუტბუტა ყმა-
წვილმა.

— არაფრისთვის!—მიუგო ქალმა.

— როგორ არაფერი—მხარი კინა-
ლამ წაგაცალეთ. უზრდელობად არ
ჩამომართვათ...

— ო, არა! მე თქვენ გიცნობთ... შო-
რიდან მაინც...

— თქვენც გიცნობთ—შორიდან მა-
ინც—განა ეს სიტყვები ისეთის არა
ჩვეულებრივის ხმით იყო ნათქვამი,
იმდენი სურვილი გამოიხატებოდა ნა-
ცნობის, მოლაპარაკის ყოლისა, ისე
ტკბილი და შეშარავი იყო, რომ ქალმა
ლაპარაკი გააგრძელა, თუ თვითონ
ქალსაც უნდოდა გვერდში ერთი ადა-
მიანი ჰყოლოდა?

ეშმაკმა იცის!

— ამ პატარა ქალაქში ყველა იც-
ნობს, ყველას მაგრამ ყველა თითქმის
უცნობია—კიდევ გამოეხატურა ქალი.

ერთხანს ორივე უხერხულ მდგომარე-
ობაში იყვნენ. ორივე თითქოს ერ-
თად მიდიოდა, მაგრამ არც ერთად:
ქალი ცოტათი წინ იყო და თითქოს
სურდა მიეტოვებინა ახალი თანამგზავ-
რი; ვაჟი კი თითქოს თავისთვის მი-
დიოდა და არ ატყვევდა ყურადღებას
წინ მიმავალ ქალს. ქალს ის იყო უნდა
აეჩქარებინა ფეხი და სრულიად დაშორე-
ბოდა ყმაწვილს, როცა უკანასკნელმა
მიმართა:

— წარმოგიდგენიათ ასეთი მდგო-
მარეობა: ძლიერ მოწყენილი ხართ.
გული—ათასის კლიტეებით გაქვთ და-
კეტილი; რაღაც უღრმესი და უშაღ-
ლესი ძალა კიმწვავთე მოქაზოვსთ გაა-
ლოთ კარი, სალხინოთ გამოუშვათ
გული, რაც უნდა მოხდეს, რაც უნდა
მოჰყვეს ამ გულის ნავარდს.

— როგორ არა... კი... ეს ძლიერ
და ძლიერ ხშირად მემართება...

ქალი გრძობდა და დარცხვენით ლა-
პარაკობდა.

— მაშ, თქვენ გესმით! თქვენ გაი-
იგებთ!

ვაჟმა ქალს ხელი ხელში მოჰკიდა.
პირზე შეხედა.

ფერმკრთალი, მალალი, მასწავლებ-
ელი ქალი არა ჩვეულებრივად უყურებ-
და თავისი პატარა თვალებით. ხელე-
ბი გაჰყაროდა. ტანს რაღაც მიმზიდ-
ველი ლაზათი მისცემოდა.

უმნიშვნელო სახე სტუდენტს ეხლა
ლამაზათაც კი ეჩვენა.

— ქალბატონო, როგორც გატყობთ,
არც თქვენ მოგელისთ დიდი გასარ-
თობი ადგილი; მე ხომ ისევ უნდა
დაუბრუნდე სულის შენხუთველს ოთა-
ხის კედელს.

— მაშ რა ვქნათ?—მეგობრულის
ღიმინით უპასუხა ქალმა.

— შევიდეთ ყავახანაში.

— არავინ იქნება...

— მით უკეთესი.

— გვიანაა... ყოყმანით უპასუხა
ქალმა და ეტყობოდა უკანასკნელი სა-
წინააღმდეგო საბუთის ძლიერება არ
სწამდა.



აჭარელი ბავშვები: 1) სკენდერ მოწყობილი, 2) ჯე-
მალ ნულაიდელი, 3) ელიას ქათამაძე, 4) ნური ლორ-
თქიფანიძე. ესენი არიან ქართულ გიმნაზიაში და ზრდის
ქართველ ქალთა საზოგადოება. 5) ხუსეინ ბეჟანიძე
და იუსუფ ქათამაძე, საბაღოსნო სკოლაში ნათხოვარი
სახელმწიფო ხარჯზედ. მასწ. მარიამ კალანდაძე.

— რას ბრძანებთ? სულ შვიდის ნა-
ხევარია!—და ყმაწვილმა შეალო ყავა-
ხანის კარები, რომელიც ბედით წინ
დახვდათ.

ქალიც შეჰყვა ოდნავის ტოტმანით.
ყავახანა ცარიელი იყო. კუთხეში
იჯდა მორიგი ფარეში: ახალი სტუმ-
რების შემოსვლა მას გაუკვირდა.

— რას ინებებთ?

— ყავა, ხმელი ხილი და ლიკიორი.

— კარგია, რომ ერთმანეთს შეე-
ხვდით... ისე მოწყენილი ვიყავ... ამ
დღეს...

— დაიწყა ვაჟმა.

— მეც ძლიერ, ძლიერ ნასიამოვნე-
ბი ვარ, ერთმანეთს რომ გავეცანით.
ღმერთთან სწორი სჯობს, კარგა ხა-
ნია თქვენ შორიდან გაკვირდებო-
დით.

— რათა?—დაიკითხა ვაჟი.

— ისე... განმარტოებით დადი-
ხართ... დაღვრემილი...

— მართალია! ვერ შევეჩვიე აქაუ-
რობას. ახლაც თვალწინ მიდგას დი-
დებული ტაძრის დაღვრემილი ნანგრე-
ვები... ქვევით დაკლანდელი, მჩქეფარი
მდინარე მირბის... მწვანით არის ყო-
ველივე მოსილი... და გულიც გიმღე-
რის... მართლა, ქალბატონო, თქვენ
როიალზე დაკვრა იცით... გავიდეთ იმ
ოთახში..

— კარგი გავიდეთ!..

პატარა ოთახი გემოზე იყო მოწყო-
ბილი. კუთხეში როიალი; შუაში ყვა-
ვილებით მორთული სტოლი და რა-
მოდენიმე სკამი; ფერად კედლებზე
სპარსული ნახები ეკოდა და მათ ქვე-
ვით რბილი მუთაქებ დაყრილი სა-
ვარძელი. ფარდავით დაფენილი იატა-
კი. ფანჯრების და კარების ფარდები
მხიარულად ირხეოდნენ. ახატულ ქე-
რიდან ჩამოშვებული კანდელი ელე-
ქტრონით ანათებდა. ბუხარი ოჯახე-
ბრივ მყურდო ხასიათს აძლევდა და
სიამოვნებას გვრიდა ოთახს.

ქალი მაშინვე როიალს მიუჯდა და
იკითხა:

— თქვენი საყვარელი პიესა?..

— ფაუსტიდან: „ყვავილნო გადაე-
ციო მას“...

— სიამოვნებით, მეც ძლიერ მი-
ყვარს...

მსახურმა შემოიტანა ღვინო, ხილი,
სიგარები: მას შემოყვა ყვავილების
გამყიდველი. ვაჟმა მთელი კალათი
საჩქაროთ გამოსტაცა, ჩააკუჭა ხელში
ქალაღლის ფული გაკვირვებულ მეყვა-
ვილეს და გარეთ გაისტუმრა.

— ეხლა ჩემს საყვარელს პიესას
დაუკრავ—თავის მოუბრუნებლივ სთქვა
ქალმა და დაიწყო.

ვაჟი ცული მუსიკოსი იყო და
ვერც გაიგო, თუ რას უკრავდა ქალი.
კილო მხიარულათ იწყებოდა,—დი-
ლის გამოღვიძებას ჰგავდა ხან მთვა-
რიან ლამეში ნავზე ქალწულის ოცნე-
ბას... მერმე შეცრათ იცვლებოდა
ჰანგი... თითქოს რაღაც თვალწვდე-
ნელ გაუთავებელ უდაბნოში მოხვდა
ადამიანიო.

— მშვენიერია, მშვენიერი!—გათა-
ვებისთანავე დაიძახა ყმაწვილმა და
ყვავილები გადააყარა თავზე.

ქალი წარმოწითლდა, აღელდა ადგა
და რამოდენიმე წვეთი ღვინისა და-
ლია.

— მიირთვით, ქალბატონო, მი-
ირთვით...

ყმაწვილმა აიღო, რამდენიმე ყვავი-
ლი ერთმანეთში გადახლართა და
ქალს გვირგვინათ დაადგა თავზე.

არის წამები, როცა ვერაფერს ვხე-
დავთ, ვერ ვაზროვნებთ, იკარგება
სიტყვების მნიშვნელობა, ჩვენ გვი-
ჰყრობს მხოლოდ ტანი, ხმა, სახის გა-
მომეტყველება.

— რა კარგათ ვართ! ასე უნდა
ვცხოვრებდეთ მუდამ... ტკბილათ,
მხიარულათ, უღარდელად...

ქალი წავიდა და ისევ როიალის
დაკვრა დაიწყო გიჟურის—მხიარულის.
ვაჟმა პატარა სკამი ქალის ფეხე-
ბთან დადგა, ზედ დაჯდა და თავი
ქალის კალთაზე მიაყრდნო.

— შენ ძილი გინდა, ჩემო პატარა?—
აღერსიანი ხუმრობით დაეკითხა ქალი

და დაწყებული პიესა...
სცალა. და როცა ვაჟმა უაფიქრლოდ
გადასწია და ქვევიდან ზევით დაუწყო
ცქერა, ქალი წელა დაიხარა, დაიხა-
რა და...

3.
ღლის თორმეტი საათია.

მობუტებული დედა კარგა ხანია
სუფრასთან ზის და უცდის თავის
ქალს. უკვირს, რათ დაიგვიანა ადგო-
მა. ფიქრობს: ეხლა უქმეებია მოისვენ-
ნოს, ბევრს შრომობს...

მობუტი წინდის ქსოვით ირობს
თავს. მწუხარებით შეჰყურებს საყავეს,
რომელსაც ზოგჯერ გასინჯავს—გა-
ცივდა თუ არაო...
— ეხლავე გავაცხელებ ყავას... პა-
ტარა მომიცადე!—მიაძახა დედამ
შვილს, როგორც კი დაინახა თავის
ოთახიდან გამოსული ქალი.

— გვიან მოდი? რათ დაიგვიანე?

— ნაცნობებს შეგხვდები და ყავას
შეგეძევი... უკაცრავათ, დედა, მარ-
ტო დაგვტოვე...

— არაფერი შეილო, შენ ცოტათი
მაინც გამხიარულდი... მუდამ სახლში
ზიხარ.

ქალი ხელს არ ახლებდა მის წინ
დადგმულ ნალებიან ყავას.

— რათ არ სვამ, შვილო, ყავას?...
... რა დაგემართა... რა იყო?

— არაფერი დედა, არაფერი...—და
ქალს ცრემლები მოადგა თვალებზე.
დედა მოეხვიო.

ქალი პატარა ბავშვით დედის ფე-
ხებში პატარა სკამზე დაჯდა, თავი
კალთაში ჩაუდგა, და იე სულ განა-
ბული იყო. დედა ხელს უსობდა თმა-
ზე, რაღაც უეცრათ მიმქანარ სახეზე,
გადაღუნულ ზურგზე.

მობუტი თითქოს მიხვდა, რაც მოხ-
და, თვითონ დაუცრემლდა თვალი,
თუმცა რამდენჯერმე გაიგონა შვილის
დამშვიდებელი სიტყვა:

— დედა, არაფერი ყოფილა.

* * *

ვაჟთან შევიდა ვილაც, ვისაც ჩვე-
ულებრივ ახსნავს ეძახიან.

— მითხარი ერთი, მუდმივ ტანჯვა-
ში, სულის კვეთებაში, პირადი და
საერთო მწუხარების დროს, აქვს თუ
არა ადამიანს უფლება, როგორის ფა-
სიტაც კი იყოს, როგორი მსხვერპლიც
არ შესწიროს, ერთი წუთი უშაღლესი
სიამოვნებისა ამოგლიჯოს ქვეყანას?

— რა თქმა უნდა, კი!

— უსინდისო!

— რას იგინები?—გული მოუვიდა
სტუმარს და ქუდს სტაცა ხელი... მაგ-
რამ შეჩერდა, შეაჩერდა და გაკვირ-
ვებით ჰკითხა:

— რა დაგმართინა?... რა იყო?...

— არაფერი, არაფერი ყოფილა...

* * *

მეორე-მესამე დღეს ორი ვითომ ამ-
ხანავი ნაცნობა ყავახანაში იხდნენ
და მხიარულათ სიგარას ეწეოდნენ.

4.
შემთხვევით ქალის უბის წიგნი ჩა-
მივარდა ხელში. იგი სავესეა შენიშვ-
ნებით და წიგნებიდან ამონაწერიო.

მოგიყვან ზოგიერთს:

ა.
ო, რამდენჯერ შენი ფანჯარის წინ,
თოვლ-ჰყაპიან საღამოობით მიარია:
სრულიადაც არ მქონია იმედი, რომ
დაგინახავდი, არც მსურდა რომ და-



პრაპ. ანტ. ნიკ. საბაგიძე.
კრილ. გარდაიცვალა გერ. ფრონტზე.



თ-დი ნ. ვ. ჯევახოვი.
უწ. სინოდის ოპერ-პროკურორის თანაზიარი.



ვახტანგ კ. ამილახვარი.
გარდაიცვალა ოსმ. ფრონტზე.

შენახე, — სიხლოვე წყოფნიდა. არ მითქვამს, მაგრამ იცოდი ხომ, თუ რა იყავ ჩემთვის.

ბ.

„მოლუშულ შემოდგომას დღეს თუ მოხვალ სა აფლოზე, ნახავ კუთხეში ყარიბათ შინილს, მიტოვებულს ჩემს სამარეს; მთლად დაფარული იქნება იგი ყვავილების ნოხით.

იცოდე, ეს სიტყვებია გულში რომ ენთო იმ სიყვარულის; უცხო ოცნება, ტკბილი სურვალი სიცოცხლეში გერ გამომჟღავნდნენ; სამარიდან კი ამოვარდნენ და... ყვავალათ იქცნენ.

ბ.

თუ გიყვარს, თუ ლოცვილობ, თუ იტანჯები — შენ ადამიანი ხარ. ინდოთა სიბრძნე.

დ.

მორის მეტერლინიკიდან.

„რალა უთხრა თუ მოვიდა, დაგიბრუნდა მეგობარი?“

— თვით სიკვდილის კარამდინაც გელოდა — თქო — მას უთხარი!

„როგორც უცხო, გამოკითხვა რომ დამიწყოს, რა უყო მას?“

— იქნებ იგოც დაიტანჯა...

უპასუხე როგორც შენს ძმას!

„კარგი, მაგრამ რალა უთხრა, თუ იკითხა, სად წახვედი?“

— ნურას ეტყვი, მხოლოდ ჩემი გადაეცი მას ბეჭედი!

„თუ იკითხა, რატომ ბნელა, და რატომ შინ არეინ არი?“...

— ჩამქრალ სანთელს მიუთითე და უჩვენე ღია ჭარი!

„რა ვთქვა უკანასკნელ წოთზე, კითხვა რომ მან დამიპიროს?“...

— უთხარ, „ილიმებოდა თქო“, რომ საბრალომ არ იტიროს!

სიმ. წვეელი.

უხეირო თარგმანიდანაც კი რა ნაზი გრძობა გამოსკვივის!.. ნეტავი მგოსანი ვიყო... კლდეს ვატირებდი!..

მ.

ბაბილონის მახლობლათ უპოვნიათ ოთხი ათასი წლის წინათ დაწერილი შემდეგი ბარათი:

„მარადისი ცხოვრება მოგანიჭოს მზის ღმერთმა! გწერ, რათა გავიგო, ჯანმრთელათ ხარ თუ არა? საჩქაროთ შემატყობინე. ეხლა ბაბილონში ვარ, ვერსად გხედავ და უნახობა ძლიერ მაწუხებს. მომწერე, როდის მოხვალ და მომიტან ბედნიერებას. გელი ყვავილთა დღესასწაულზე. უკვდავ იყავ ჩემთვის და ჩემ-მიერ!“

ბ.

გვითხულობდი ბოდღერის „ბოროტების ყვავილებს“. განსაუთრებით მომეწონა ერთი ადგალი, ჩემი სულის დამახასიათებელი:

არაფერი ვიცოდე, არაფერი მსურდეს, არაფერს ვგრძობდე, არაფერს შევიგნებდე, ვიძინო, კიდეც ვიძინო — ეს არის ეხლა ერთად ერთი ჩემი მისწრაფება.

ზ.

ყველაფერი შესწირო ერთს რასმე და, როცა საწადელს მაღწევე, თავი ძლიერ უბედურათ იგრძნო — აი უფსკრული ადამიანის ცხოვრებისა.

ქალი სკამს, ყნოსავს ყვავილებს, ძველებურათ მასწავლებლობს, ყურსაც კი უგდებს ტკბილ ფურუნს მოცილილ ვაჟსას, ზოგჯერ ეინა იკლავს სქესებრივი მოთხოვნილებისას... მაგრამ ის არ ცხოვრებს, მაში ჩახშულია ცეცხლი, დაფერფილია გრძობა... იგი ცოცხლად მკვდარია. თუ ადამიანი ოდესმე შექმნის ხელოვნურ ადამიანს-მანქანას, უსათუოდ ასეთი იქნება იგი.

ბევრი კი იტყვის: არაფერი ყოფილაო!

ნ. ლორთქიფანიძე.

უბედური რუსი

(ქარგა ისტორიული *)

(ვაგარდ ლება. იხ. სურ. დამატ. № 38).

თავი მეორე.

თავარმა თითქო გახედაო სივრცეს, მაგრამ ემჩნეოდა თვალეზი ისევე შინაგან იყურებოდნენ:

— მაშ ესე დავასკვნათ. სურვილი ხომ დიდი აქვთ მე ქმარი მყავდეს. ხომ ეს გაუჩნდათ საზრუნავი. რამდენი არ ითათბარეს, ვინ არ მოიფიქრეს, ვინ არ მოიყვანეს?.. ეხლა ეს უფლისწულია. ყველამ მოიწონა. ქათალიკოსმაც, მამიდა ჩემმაც. გუშინ კიდეც უჩემოდ თათბირი ჰქონიათ. ეხლა მე მელოდებიან... მეც მეყო ამდენი უარი... აღარ გავამწვავებ საკითხს... დე, იყოს ეგრე... მხოლოდ უნდა გავიცნოთ ეგ რუსი, მისი ხასიათი, მისი საქციელი, მისი თვისება... მოათიოს აქ ხანი ჩვენ-

სა... იყოს ჩემს სასახლეში ერთი წელიწადი მაინც და როს დაეინახავთ, ავწონ-დავწონით, მაშინ ისე მოვიქცეთ ვით აჯობოს... მანამდე კი... ოოჰ, მანამდე!.. აი გამოსავალი: დავყვები ნებას, რომ მოხდეს... მხოლოდ დაწინდვა და ეს დაწინდვა მოხდეს ზეიმიდა და გამოჩინებით... მაშინ ყოველნი მტერი ჩვენის ტახტის შეწრფებიან, ყოველნი მათებელნი ჩემის შეუღლებისა შესდგებიან... მერყეობას არღა განვიცადით...

სახე გაეშალა, შეკირვების შავი ღრუბელი მოშორდა მის ნათელ სახეს და წმინდა თვალეზი დაუბრუნდა გარემოს განცდას.

ამ თვალეზმა გახედეს მტკვარ-გალმა მთის კალთებზე შეფენილ თბილისის ქალაქს.

მწვანედ შებურულ ტყის სიხშირეში, მთის შუაგულ თეთრად გამოკიაფობდა მთაწმინდის ტაძარი.

მის ქვემოლ გაშლილ შოედანზე სახელმწიფო მოხელეთა და ხელჯობიანთა ციხე-დარბაზის კოშკები ზე-აღზიდულიყვნენ.

კიდეც იმის ქვემოლ მყარი და მტკიცედ ნაგები საქულბაქოები მოფენოდნენ მიდამოს.

თვალი სწვდებოდა თვით დიდუბემდე და თითქმის იქამდე, მთელი ქალაქი წარმოადგენდა ერთ უცხო ბაღნარს, საცა ხსენებული შენობები გამომაყოცხლებელ ნაკვთებათ ჩასდგომოდნენ.

ამას ზედ თავს ერქვა ლურჯი ცის



ახალგაზდა ოსმალნი.

კამარა, ამ ჟამად სრულიად მოკრია-
ლებული.

მეფემ ზე-აიხედა.

ერთი ღრუბელიც არ მოსჩანდა ცის
ტატნობზე, მხოლოდ შორს, შორს
რომელიღაც სწრაფი ჩიტი ლურჯ
ეთერში მისრიალებდა.

ბრძენ-მეფეს გაეღიმა ამის დანახვა-
ზე. თვალი გააყოლა თავისუფლად მო-
ნადარდვით ფრთოსანს.

და თითქო ამ ფრთებმა წარიტაცეს
მისი სურვილებიც ცის კამარაში. იქ
გაუჩინარდნენ.

შინ შებრუნდა. სახე დამწვრილებუ-
ლი ჰქონდა, თითქო უფრო მხიარული.
უბრძანა შემთხვევარებს—სამეფო სა-
მოსი და გვირგვინი მოეხადნათ მის-
თვის.

მოართვეს საშინაო—ნაცრის ფერი,
ოქრო-მკედით ანაკერი კაბა. ამაზე
გრძელი, სალუქი ლეჩაქი გადაიფარა,
თავს ჰაწია, ოქროს თაჯი დაიხურა,
შინ-ქსოვილი, დარაიის მოსასხამი მო-
იხურა და მისი აღმზრდელის მამიდა
რუსუდანის სამყოფელისაკენ გაემართა.
თან კვლავ სამი იახლა: გამდელი
და ორი შომუნვარი. კარის დარაჯ-
თაგან ერთი შორი-ახლო გაჰყვა.

ზ.

გრძელ ერდოზე მოუხდათ გავლა.

გზაზე არავინ შეხვედრიათ, თითქო
სასახლე დაცალიერებულაო. მტკო-
ბოდათ, რომ ნადიმობამდე, ჩვეულებ-
ბისამებრ, ლოკინის ხევისაკენ სასპა-
რეზოთ გაკრეფილიყო სტუმრები და
დარბაზის ერი.

მხოლოდ ერთი კარებიდან სიმღე-
რის ხმა გამოდიოდა.

თამარი შედგა ცრტა ხანს.

ვაჟკაცის საამური ხმა ჩანგურის ნახ
კლოვნებას მიუყვებოდა. მღეროდა.

„ყველა ფრინველი ხეზე ზის,
მწყერი მიწაზე გოგდება...
ქალი რად გინდა უცხო მხრის?—
დანეულდება, მოკვდება!“

გულს მოხვდა ეს სიტყვები.

თავისი გზა განაგრძო.

— ვინა მღერის ნეტა?

— ეგ გორგა მოშაირე თუ გაზღდე-
ბათ...

ჰკადრა გამდელმა.

— ვისთან უნდა იყო?... კვლავ
ჩკითხა თამარმა. გულში კი მეტყვე-
ლებდნენ ეხლა განაგონი სიტყვები:

„ქალი რად გინდა უცხო მხრის“...

— ოსთა ბატონიშვილი, დავით
სოსლანი გხვდებათ წოხელის...

— დავით სოსლანი?—თამარმა თი-

თქმის პირი მოიბრუნა გამდლისკენ.
შემდეგ დამწვრილებით განაგრძო:—მე-
რე, დღეს რომ არ მინახავს ზეაზე?..

— გახლდა, ჩემო თვალის სინათლევ,
მამიდა შენის ამაღლაში ერია, მაგრამ
ცალკე არ წარდგომია.

სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ მარმა-
რილოს ფილაქანი ნაზად ამელავებდა
მაზე მიმავალთა სრბოლას.

თამარს გაახსენდა მისი ბავშვობა.
მისი თან-შეზრდილი დავით სოსლანი.
მამიდის კარზე რომ იზრდებოდნენ
და... საშინელი სიმწვავე და ობლობა
იგრძნო მისმა გულმა:

გახსენდა სხვა ვინმე უცხო კაჭუკი,
ისიც მასთან შეზრდილი, მისი ბიძა-
შვილი, ერთ დროს საქართველოს ტა-
ხტის მემკვიდრე ღემნა.

სანახავად ფრიად მშვენიერი, მსწავ-
ლული და განგებინი...
ღემნა!

იღუმელი ლოცვა ათროლოდა თა-
მარის ბაგეზე. მიმავალი იმეორებდა:

— ჰოი, უფალო, რომელი ყოველ-
გან ხარ და ყოველსავე აღავსებ... შე-
უნდევ მონასა შენსა საცოდავ ღემნას,
თუ რამ ცოდვა მიუძღვის შენს წინა-
შე და აცხოვნე სული მისი...

ამ ჰაწია ლოცვამ თითქო ნუგეში
სცა, სიმწვავე გაუნელა.

უკვე მეტის დამწვრილებით იხსენებ-
და გადასრულსა.

— რა სასტიკად მოეპყრა მამა ჩე-
მი, გიორგი მეფე, საბრალო ღემნას...
თვალები დასთხარა, დაასაჭურისა...

უნებლიეთ მარჯვენა ხელი თვალებ-
ზე გადაისვა და შემდეგ კვლავ იღუ-
მელი ლოცვა აღავლინა:

— შეუნდევ მამა ჩემსაც, უფალო,
რამე თუ გარდახდა შენსა მცნებას,
ჰოი ტკბილო ქრისტევ, და არა მიუ-
ტევი თვით მტერთაც...

კვლავ შესდგა ფიქრი ღემნას გარ-
შემო.

— როგორ დაისაჯუნ მისი მომხრე-
ნიც... რა სასტიკათ, რა უწყალოთ...
უმრავლესობა ტანჯვანავით... ზოგი
კი განდევნეს, უქსოროა უყვეს, ზოგიც
განპატიებულ იქმნა, ზოგიც გარდაი-
ხვეწა... სად არიან ეხლა ნეტა?... მარ-
თლა, ჰიაბერს რომ ვუბრძანე ცნობე-
ბი შეეკრიფა?!. რამდენი ღირსეული
მამულიშვილი მოგვაკლდა მაშინ...

თვით რუსთველი, შოთა... კაცი ბრძე-
ნი და ცის ნიჭად მოვლენილი... აქამ-
დე ჰიაბერს არაფერი უცნობებია...
მარათლა ვინ მითხრა?... ვავიგეთ, რომ
შოთა ამ ჟამად არაბეთს იმყოფებო...

უნდა ვუბრძანო, ცნობა მიაწვდინონ,
რომ დასტურს ვაძლევ სამშობლოში
დაბრუნებისას. ეს არ დამავიწყდეს...
ღირსეული კაცი ჩემს ტახტთან უნდა
იმყოფებოდეს. და აი, ბედშავო თა-
მარ-ქალო!.. შენ მეტით ვერაფრით-ღა
გაგახარებ... შოთა ხომ ღემნას გული-

თადი ბეგობარი იყო, მის ხვაშიადთა
მოწილადე, თანაზიარი... ის იქნება
შენს ახლო... მას გამოესაუბრება...
ოო, ეს რა უცხო რამ გავიფიქრე! მე-

ფეთა ამბები ხომ იწერება... არაბეთს,
მისრეთს და ბიზანტიას... მთელს აღ-
მოსავლეთში ხომ ამ გვარი მწიგნობ-
რობა გავრცელებულია... უკვდავ ნა-

ფიქრთა და ნააზრევთა ნაკვალევი
დღესაც გვშთენია... შოთაც ხომ მწე-
რალია და მწერალი ენა-მზე და აზრ-
მახილი... მე მისგან მშრალ მატინეს
არ მოვიტხოვ... მან უნდა აღწეროს
სულ სხვა მატინე—თამარ-ქალის გუ-

ლის ძგერისა და... საცოდავ ღემნას
უბედო ბედი... ამას შეიძლებს. ყოვე-
ლი იცის მალა-ნიჭიერმა და ყოველ-
სავე განსჭვრეტს...

თამარი კვლავ გამოკეთდა.

დიდათ იამა, რომ ამ გუნებით მია-
დგა დიდი რუსუდანის კარი-ბჭეცა.

მოფარდაგული გადასწია.

დაინახა, რომ მამიდა მისი მარტო
არ იყო: ორიოდ საპატიო მანდილო-
სანი და რატი სურამელი იყო რუსუ-
დანთან.

ც.

— ოო, თამარ, საყვარლო ჩემო!—
სიხარულით შეიკვირვა ჯერ კიდევ
კარგად შენახულმა მოხუცმა რუსუდან-
მა და წინ შემოეგება.

ყველანი წამოიშალნენ. მდაბლა თა-
ვი დახარეს.

— ეს ფერი რათა გაქვს ნაკრთო-
მი?—ნაჩვევის, უფროსის კილოთი და-
იწყო რუსუდანმა, მაგრამ მყისვე ღი-
მილი მიაყოლა და ხელ-გადახვეულმა
თითქმის ყურში აღერსიანად ჩაუჭურ-
ჩულა:

— შე-სადაგელო, შენ!..
თამარს უყვარდა მამიდას ღიმილი.

ამ ღიმილში მუდამ ქრისტიანული
ღმობიერება იყო ჩაქსოვილი. თორემ
ეს ღიმილი რომ არ სცოდნოდა რუ-
სუდანს, მისი საგე მეტად მიუკარე-
ბელი გამომეტყველებდა იქნებოდა.

დიდი სისასტიკის ბეჭედი აჯდა. ამაში
ძალიან ჰგავდა მის ძმას მეფე გიორ-
გის, თამარის მამას.

გიორგიზე ხომ ამბობდნენ მისი
მომსწრენი: მის სახეს სიცილი ძვირათ
ეკარებო. ეგვე შეიძლებოდა ეთქვათ

რუსუდანზე და განსაკუთრებით მის
თვალეზე. ისინი არ იცნობდნენ, ხო-
ლო როდესაც გასწყვებოდნენ, ერჩიე-
ნა მათ წინაშე მდგომს ქვესქნელი გა-
ხეთქოდა და შიგ ჩაეტანა.

ამ ჟამად კი ანაზღვეულმა ღიმილმა
დარი დააყენა ამ სახეზე.

— ოო, რატი!—შემამნია თამარმა
—როგორ გიკითხო?...
მამიდა-ძმისწული ტახტზე ერთად
ჩამოსხდნენ.

ქართლის ბატონი ყურთამდე სიხა-
რულის სიწითლით გაივსო და შესა-
ფერი პასუხი ჰკადრა.

— ღირსეული დედა შენი, დიდი
ქალბატონი ხვაშაქი, რაზედ აღარა
გვეწყალობს?...—კვლავ შეეკითხა თამა-
რი.

— შენი წყალობის ღირსი თვით
გახლავს, მეფეო... მხოლოდ ეხლა შე-
უძლოთ არის და...

— შეუძლოთ?—მერე აქამდე რათ
არ მაცნობეთ?..

— შეუძლოთ ისე გახლავს, მეფეო,
რომ ცხენზე ჯდომამ უძძიმს და გვი-
ბრძანა მის შვილებსა: თუ სამძიმო,
სამეფო საქმე არა იყოს-რა ცუდ-უბ-
რალოზე ნულა გამრჯით და თამარის
ქორწინებამდე როგორც იქმნება მო-
ვიჭირებ მის უნახობასაო...

— ქორწინების ხსენებაზე თამარს
ოღნავმა შავმა ღრუბელმა გადაურ-
ბინა.
რატიმ შეჰბედა:

— ეხლა-ღა ეს ქორწინებაც, მგონი
სამალიოდ იქნება...

შეწყვიტა... თამარი მიუბრუნდა მა-
მიდას:

— მართლა, მამიდა, შენთან საქმე-
ზე ვარ მოსული...

— აბა ეხლა თქვენ მოგვშორდით
შვილოსა,—უბრძანა იქ მყოფთ რუსუ-
დანმა.

ამ ბრძანებაზე რატიმ ერთხელ კი-
დევ დადასტურა თავის გულში, რომ
რუსუდანის და დედის მისის ხვაშაქის
ხმები ერთი მეორეს ძალიანა ჰგვანდ-
ნენ: ორივე ბოხი იყო, ორივე მკვეთრი
და შეუვალი.

თავის თავს კი შეურაცხყოფილად
გრძნობდა: თამარმა არ უპასუხა მას
შეკითხვაზე, მაგრამ გამოთხოვებისას
თამარმა ღმობიერად გაუღიმა და...
კვლავ მოინათლა. თითქო მეფემ ამ
ღიმილით უბრძანა—არა, კი არ გი-
წყვები, მხოლოდ ეხლა არა მცალიანო.

შალვა დადიანი.

(შემდეგი იქნება)



დღევანდელი გართობა.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.



ს ა ბ ი ს ო ვ ი .
გადმოხვეწ-ლებს.
მკვიდრ მცხოვრებთ.

რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.